* * *

აქ ხილულ ოცნებას
თან სდევენ ჯადონი,
თოლია ქორსა ცვლის,
არწივს – იადონი.
ორ საწყისს ინახავს
ახალი ათონი, –
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

აქ მუხა შრიალებს,
იქ ზეთისხილია,
თუ ზღვის და ზღვის პირის
მძაფრი ჭიდილია –
გზნებასთან მზის ჩასვლის
ჰყვავის იდილია, –
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

უწესო აყრუებს
უზადლო ზრდილობას.
ბუკის ხმა ზღვის პირას
თუ იწვევს ყრილობას,
მეომარს ჩონგური
უამებს ჭრილობას, –
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

ომსა ცვლის მშვიდობა
და ნგრევას – შენება,
სიტლანქეს სულისას
ცგლის სულის მძვენება,
წყალს – ღვინო, დღეს
სიცხადეს – ჩვენება, –
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი...

1956